ზოგადი განათლება საქართველოში

მონაცემები და მიმართულებები

კრებული

თბილისი
2007

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

თამარ გაბაშვილი
ლევან გახელაძე
სერგი დაუთაშვილი
ოთარ სოსელია
დავით ქურხული
ბერიკა შუკაკიძე

კრებულში გამოყენებულია გოგა ჩანადირის ფოტოები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო © 2007

ჩვენი მეოთხეკლასელების კითხვის უნარი, სხვადასხვა მაჩვენებლებით, 25%-45%-ით გაუმჯობესდა. ეს სასიამოვნო ცნობა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი გამოცდების ეროვნული ცენტრის 2003 და 2006 წლების კვლევების შედეგად მიღებული მონაცემებით დადგინდა.

თანამედროვე განათლების სწრაფად ცვალებად და მრავალგანზომილებიან სამყაროში თითქმის შეუძლებლია რეფორმების გააზრებული სტრატეგიის ჩამოყალიბება, მიზნების დასახვა, მათი განხორციელება და, შემდეგ, მიღებული შედეგების გაზომვა, თუკი ის ყოვლისმომცველ, სწორად მოპოვებულ და სანდო მონაცემებს არ ეფუძნება.

წინამდებარე კრებული ზოგადი განათლების ძირითადი ასპექტების შესახებ რაოდენობრივი მონაცემების ერთად თავმოყრის პირველი მცდელობაა. ასეთი კრებულების გამოცემას ყოველწიურად ვგეგმავთ განათლებისა და მეცნიერების სხვადასხვა კომპონენტისთვის, რათა საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცეს, უკეთ გაიგოს და შეაფასოს მიმდინარე ცვლილებები.

დაინტერესებული მკითხველი ამ კრებულში ბევრ კითხვაზე იპოვის პასუხს: „როგორია მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა მაღალმთიან სკოლებში?“, „რამდენი გოგო-ბიჭი მიუსხდა წელს ახალ მერხს?“, „რამდენად გაიზარდა ზოგადი განათლების დაფინანსება 2004 წლის შემდეგ?“, „როგორი იყო სამეგრელოში მოსწავლისა და კომპიუტერის თანაფარდობა ორი წლის წინ და როგორია დღეს?“, „რამდენი კერძო სკოლაა იმერეთში?“, „რამდენი კვადრატული ფართი მოდის ერთ მოსწავლეზე კერძო და საჯარო სკოლებში?“, „როგორ გასხვავდებოდა სამეურვეო საბჭოების არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობა თბილისსა და რაჭაში?“.

ჩვენი აზრით, ამ ტიპის კრებული სასარგებლო უნდა იყოს მრავალი, სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამინისთვის. ადგილობრივი ხელისუფალი ამ ინფორმაციას სკოლების ხელშეწყობის უფრო ეფექტური დაგეგმისთვის გამოიყენებს, ანალიტიკოსი სკოლის მიტოვების მაჩვენებლებს რეგიონულ ჭრილში გააანალიზებს, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან ერთად კონკრეტული საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთა გადამზადების პროგრამას შეიმუშავებს, ჟურნალისტი ერთ კონკრეტულ სკოლაში არსებულ პრობლემურ ვითარებას ზოგად კონტექსტში დაინახავს.

მომდევნო გამოცემებში შევეცდებით ეს მონაცემები კიდევ უფრო გავამრავალფეროვნოთ და მათ ანალიტიკური კომპონენტიც დავურთოთ.

მრავალი ქართველი სპეციალისტის აზრით, განათლების რეფორმას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. ამ აზრს იზიარებენ წამყვანი საერთაშორისო ექსპერტებიც, თუმცა კი, ჩვენ კარგად გვესმის, რომ გასაკეთებელი გაკეთებულზე გაცილებით მეტია. საბოლოო ჯამში, ჩვენი საერთო მიზანი ადამიანისთვის ისეთი ცოდნისა და ღირებულებების მიწოდებაა, რაც მას ცხოვრების გზამკვლევად გაჰყვება და, რაც მთავარია, გაუადვილებს სწავლა-განათლებაზე ზრუნვას მთელი ცხოვრების გამნავლობაში, რათა შესაბამისი კომპეტენციებით უპასუხოს სწრაფად ცვალებად გარემოს. სწორედ ამას გვასწავლის ილია: „ვისაც თავი უჩენია, იმას სკოლის, უნივერსიტეტის შემდეგ უშრომია და ეს შრომა იმით ჰქონია გაადვილებული, რომ სკოლას, უნივერსიტეტს უსწავლებია, სად და როგორ გაიგნოს სწავლა-ცოდნის, მეცნიერების გზა“.

მჯერა, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით მამავალშიც ბევრჯერ გვექნება საფუძველი განვაცხადოთ, რომ „ჩვენი მოსწავლეების შედეგები გაუმჯობესდა“.

ალექსანდრე ლომაია
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

შესავალი

კრებულში „ზოგადი განათლება საქართველოში“ დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარე ამსახველ ინდიკატორებსა და სტატისტიკურ მაჩვენებლებს შემდეგი მიმართულებებით:

1) სახელმწიფო დაფინანსების ზრდა
2) ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსება
3) დეცენტრალიზაცია
4) ეროვნული სასწავლო გეგმა და ახალი სახელმძღვანელოები
5) სკოლების მატერიალურ-ტექნიკური რეაბილიტაცია.

საქართველოს ზოგადი განათლების ინდიკატორებისა და სტატისტიკური მაჩვენებლების შემუშავებას საფუძვლად დაედო კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული “ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“.

ინდიკატორების შემუშავებისას გამოყენებულია ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ჰაიან ჰუას ნაშრომი „განათლების ინდიკატორები“, რისთვისაც რედკოლეგია მას მადლობას უხდის.

ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაფასებლად კრებულში მოცემულია 10 ინდიკატორისა და 9 სტატისტიკური მაჩვენებლის დიაგრამა.

სარედაქციო კოლეგია მზადაა, განიხილოს ყველა წინადადება თუ შენიშვნა, რომელიც მომდევნო გამოცემების დახვეწაში დაგვეხმარება.

ვიმედოვნებთ, რომ ბევრი დაინტერესებული პირი აქტიურად ჩაერთვება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საინფორმაციო კრებულების შემუშავებაში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

2004-2006 წლებში საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში განხორციელებული ძირეული ცვლილებები 6

საქართველოს განათლების სისტემა 8

საგანმანათლებლო რესურსცენტრების რუკა 9

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნაერთი ბიუჯეტის ფუნქციური განაწილება 10

სკოლები რეგიონებისა და ტიპის მიხედვით (2006 წ) 11

არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა საქართველოში 12

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა 13

მოსწავლეთა პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით 14

მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით (2005-2007 წწ) 15

მოსწავლეთა დინამიკა კლასების მიხედვით (1990-2007 წწ) 16

სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი 17

კლასში მოსწავლეთა რაოდენობა და აკადემიური ფართი 22

მასწავლებლების რაოდენობა სკოლის ტიპისა და რეგიონების მიხედვით და მათი შეფარდება მოსწავლეებთან 24

მასწავლებლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (2005-2007 წწ) 25

მოსწავლეთა კონტინგენტის მოძრაობა (2005-2007 წწ) 26

2005-2006 წელს კლასში ჩარჩენილ მოსწავლეთა მაჩვენებელი 27

სკოლიდან გადასული და გადმოსული მოსწავლეები (2005-2006 წწ) 28

ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების მაჩვენებელი 29

სწავლის მიტოვების მაჩვენებელი (2005-2006 წწ) 30

სამეურვეო საბჭოების არჩევნებში აქტივობა რეგიონების მიხედვით 31

2004-2006 წლებში საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში განხორციელებული ძირეული ცვლილებები

მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების სახელმწიფო დაფინანსება

- 2003 წელს განათლებაზე გაწეულმა ხარჯმა 171,7 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2006 წელს – 450 მილიონი ლარი.
- ზოგადი განათლების სფერო 2006 წელს 269 მილიონით დაფინანსდა.
- 2006 წელს ზოგად განათლებაზე გაწეულმა ხარჯმა სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის (13,6 მილიონი ლარი) 2,1% შეადგინა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დაფინანსების ახალ სისტემაზე გადავიდნენ

- 2005 წლიდან სკოლები ფინანსდებიან მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით.
- ვაუჩერი გაიცემა როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლების მოსწავლეებზე.
- არსებობს სამი მოცულობის ვაუჩერი – ქალაქის, სოფლისა და მაღალმთიანი სოფლის სკოლებისათვის.
- 2005 წელს ვაუჩერის ზომა ქალაქში – 220, სოფელში – 330, ხოლო მაღალმთიან სოფელში – 396 ლარს შეადგენდა.
- 2006 წლიდან ვაუჩერის ზომა ქალაქში – 235, სოფელში – 350, ხოლო მაღალმთიან სოფელში – 425 ლარით განისაზღვრა.

დაიწყო საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური რეაბილიტაციის მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილი“

- პროგრამის 2006 წლის ბიუჯეტი – 73,6 მილიონი ლარი.
- პროგრამის ფარგლებში 20 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა.
- დასრულდა 35 ახალი სკოლის მშენებლობა.
- სრულად განახლდა 69 რაიონული ცენტრის ყველაზე დიდი სკოლები.
- დაიწყო 217 სკოლის ეტაპობრივი რეაბილიტაცია.
- 267 სკოლა აღიჭურვა ახალი სასკოლი ინვენტარით – 177 ათასი მერხი და სკამები.
- აშენდა 20 ხელოვნურსაფარიანი სასკოლო სტადიონი.
- რეგიონების სკოლებს გადაეცათ 50 ახალი სასკოლო ავტობუსი.
- 95 ათას მოსწავლეს (პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით) გადაეცა სასკოლო ფორმები.
- 170 სკოლაში დამონტაჟდა გათბობის თანამედროვე ავტონომიური სისტემა.
- პროგრამის განხორციელების შედეგად, 150 ათასი მოსწავლე უკეთეს სასკოლო გარემოში სწავლობს.

პროგრამა „ირმის ნახტომი“ – სკოლების კომპიუტერიზაცია

- პროგრამის ფარგლებში ინვესტიციების საერთო მოცულობამ 2005-2006 წლებში თითქმის 13 მილიონი ლარი შეადგინა.
- 2005 წლის დასაწყისისთვის სკოლებში 125 მოსწავლეზე 1 კომპიუტერი მოდიოდა, ხოლო 2006 წლის ოქტომბერში ეს თანაფარდობა შეადგენს 58:1.
- 2007 წლის აგვისტოს მონაცემებით 665 სკოლაში შეტანილია 7332 კომპიუტერი.
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრეინინგი გაიარა 5 868 მასწავლებელმა.
- ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფილია 224 საჯარო სკოლა.

სკოლები გადადიან თვითმმართველობის სისტემაზე

- 19 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობს სკოლის მართვაში.
- პრაქტიკულად ყველა სკოლაში არჩეულია სკოლის სამეურვეო საბჭო.
- სამეურვეო საბჭოს არჩევნები ჩატარდა 2006 წლის 7 ივნისს და განმეორებით – 2007 წლის 7 მარტს.
- სამეურვეო საბჭოს არჩევნებში 750 ათასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.
- სამეურვეო საბჭო არის სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც სკოლის დირექტორს ირჩევს.
- საბჭო ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, სასწავლო გეგმას, სკოლის განვითარების გეგმას, სახელმძღვანელოების ნუსხას და სხვა.
- სამეურვეო საბჭო შედგება არჩეული მშობლების, პედაგოგებისა და მოსწავლეებისგან.
- 2006 წლის 30 ნოემბერს სკოლებში ჩატარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები.
- 2007 წელს თითქმის 1000 სკოლის სამეურვეო საბჭომ აირჩია სკოლის დირექტორები.

განათლების ტერიტორიული ორგანოები

- დაფუძნდა 72 ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი.
- აშშ-ს მთავრობის ფინანსური ხელშეწყობით 2006 წელს 44 საგანმანათლებლო რესურსცენტრი სრულად გარემონტდა და ტექნიკურად აღიჭურვა.
- ტრენინგები ჩაუტარდა რესურსცენტრების 400-მდე თანამშრომელს.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა

- 2006 წელს ტრეინინგი ჩაუტარდა 23 ათას მასწავლებელს.
- დაინერგა 117 ახალი სახელმძღვანელო.
- დასრულდა 80 სახელმძღვანელოს პილოტირება II, VIII და XI კლასებში.
- პილოტირება ჩატარდა 100 საშუალო სკოლის ქართულენოვანი სკოლის I, VII და X კლასებში.
- პილოტირება მიმდინარეობდა 30 საგნის მიხედვით.
- პილოტირების პროცესში მონაწილეობდა 2600 მასწავლებელი და 11 700 მოსწავლე.

მასწავლებელთა გადამზადება

- 2005-2006 წელს 10 400 მასწავლებელი გადამზადდა.
- დასრულდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შექმნის პროცესი, რომელშიც 31 სკოლის 713 მასწავლებელი, 930 მოსწავლე და 775 მშობელი მონაწილეობდა.

საქართველოს განათლების სისტემა



საგანმანათლებლო რესურსცენტრების რუკა

- ამოქმედდა 72 საგანმანათლებლო რესურსცენტრი.
- რესურსცენტრებში 400-მდე ადამიანია დასაქმებული.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნაერთი ბიუჯეტის ფუნქციური განაწილება



- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნაერთი ბიუჯეტი 2006 წელს 361 370 836 ლარს შეადგენდა.
- ზოგად განათლებაზე 269 616 136 ლარი ანუ სამინისტროს ნაერთი ბიუჯეტის 76% დაიხარჯა.

სკოლები რეგიონებისა და ტიპის მიხედვით 2006 წელს



	თბილისი	აფხაზეთი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	აფხაზეთი - დევნილები
საჯარო	199	4	238	103	400	196	103	72	277	209	281	187	15
კერძო	123		22	2	36	15	2		22	1	18	16	

- კერძო სკოლების 47% თბილისშია განთავსებული.
- კერძო სკოლების ხვედრითი წილი სკოლების მთლიანი რაოდენობის 10% შეადგენს.

არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა საქართველოში



- 2005 წლის მონაცემებით ქვეყანაში არსებული 456 არაქართულენოვანი სკოლების 70% ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებზე მოდის

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა





- კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა 2003 წელთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა.
- კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის ხვედრითი წილი მოსწავლეთა საერთო რაოდენობაში 2005-2006 წელს – 5, 3% იყო, 2006-2007 წელს კი – 5,7%.
- მოსწავლეთა საერთო კონტიგენტის ზრდა 2006-2007 სასწავლო წელს წინა წელთან შედარებით 0.3% შეადგენს.
- საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის კლება წინა წელთან შედარებით 0,3% შეადგენს.
- გენდერული განაწილება 2005-2006 სასწავლო წელს:
  52,1 % ბიჭები; 47,9% გოგონები.
  2006-2007 სასწავლო წელს: 55,7% ბიჭები; 44, 3% გოგონები.

მოსწავლეთა პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით



- 2006-2007 სასწავლო წელს მოსწავლეთა 26% სწავლობს თბილისში.
- 2006-2007 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს ყველა რეგიონში შეიმჩნევა მოსწავლეთა რაოდენობის უმნიშვნელო კლება მაშინ, როდესაც თბილისში მოსწავლეთა რაოდენობა 3% გაიზარდა.

შენიშვნა: სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმების მიერ კონტროლირებად ტეროტორიაზე განთავსებული სკოლების შესახებ ინფორმაცია არ არის სანდო, ამიტომ იგი სრულად არ არის წარმოდგენილი.

- თბილისი
- აფხაზეთი *
- აჭარა
- გურია
- იმერეთი
- კახეთი
- მცხეთა-მთიანეთი
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი
- სამცხე-ჯავახეთი
- ქვემო ქართლი
- შიდა ქართლი
- აფხაზეთი - დევნილები

* აფხაზეთის სეგმენტში იგულისხმება იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულ სკოლებში სწავლობენ.

მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით 2005-2007 წლებში



	I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი	V კლასი	VI კლასი	VII კლასი	VIII კლასი	IX კლასი	X კლასი	XI კლასი
2006-2007 წელი	49670	48775	53858	55538	56520	57295	56502	61020	68830	66069	62118
2005-2006 წელი	48923	53530	55081	56232	56926	55961	60615	68640	71329	59468	48232

1996-97 სასწავლო წელთან შედარებით 2006-07 სასწავლო წელს პირველ კლასში შესულ მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 35%-ით.

მოსწავლეთა დინამიკა კლასების მიხედვით 1990-2007 წლებში

საჯარო სკოლები

	1997-1998	1998-1999	1999-2000	2000-2001	2001-2002	2002-2003	2003-2004	2004-2005	2005-2006	2006-2007
სულ	716422	717747	706917	699483	682910	666143	650086	622999	601362	599980
I კლასი	78652	73850	64905	58486	58516	56569	55168	51540	45346	45555
II კლასი	79444	78168	73016	63904	57448	57876	55827	52601	50036	45255
III კლასი	70679	78842	77008	72425	62827	56693	57107	53867	51526	50361
IV კლასი	69710	70227	77924	76549	71662	62104	56186	55493	53130	52131
V კლასი	72046	68975	68778	76792	75118	70191	60836	53946	54051	53359
VI კლასი	71734	71261	67744	67803	75259	73583	69051	58909	53088	54300
VII კლასი	69409	70401	69870	66571	66399	74174	72550	67229	57811	53477
VIII კლასი	68008	67981	68790	68165	64835	64800	72212	70250	65723	58215
IX კლასი	66513	65881	65649	66206	65794	62830	62818	69638	68439	66009
X კლასი	37543	38391	41066	44498	44823	46033	46055	48296	56619	62683
XI კლასი	32684	33770	34867	38084	40229	41290	42276	43104	45593	58635

კერძო სკოლები

	1997-1998	1998-1999	1999-2000	2000-2001	2001-2002	2002-2003	2003-2004	2004-2005	2005-2006	2006-2007
სულ	10239	3486	10803	12137	11047	15392	16902	21002	33362	36301
I კლასი	1842	395	1334	1592	1213	1583	1844	2217	3564	3943
II კლასი	1500	383	1450	1464	1117	1522	1692	2186	3482	3563
III კლასი	939	365	1399	1504	1108	1504	1565	1974	3549	3518
IV კლასი	689	258	1316	1397	1097	1447	1529	1908	3094	3486
V კლასი	651	211	780	1260	1167	1532	1506	1806	2868	3196
VI კლასი	667	188	771	854	1101	1503	1640	1775	2863	3016
VII კლასი	646	218	760	853	857	1617	1652	2088	2774	2861
VIII კლასი	560	207	698	750	833	1143	1464	2084	2889	2858
IX კლასი	541	198	750	710	809	1229	1287	2002	2852	2899
X კლასი	1211	570	818	895	876	1131	1384	1407	2801	3444
XI კლასი	993	493	727	858	869	1181	1339	1555	2626	3517

* 1990-დან 1996 წლამდე სანდო მონაცემები არ არსებობს (რედ.)

სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი



იაკობ გოგებაშვილი

მეგაპროგრამა 2006-2010

2006 წელს დასრულდა 35 სკოლის მშენებლობა, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 69 საჯარო სკოლას, ეტაპობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 217 საჯარო სკოლას. საერთო დანახარჯმა 93 მილიონი ლარი შეადგინა.

2007 წელს მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში დაიწყო 12 ახალი სკოლის მშენებლობა, 5 სკოლის სრული და 396 სკოლის ეტაპობრივი რეაბილიტაცია.

მოსწავლეთა გადაადგილებისთვის შეძენილია და განაწილებულია რეგიონებში 50 სასკოლო ავტობუსი.

- 1980-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს სკოლებში არ განახლებულა სასკოლო ინვენტარი.
- 267 საჯარო სკოლაში შეტანილია 177 ათასი მერხი და სკამი.

ზუგდიდში, სამტრედიაში და კიდევ 16 ქალაქსა და სოფელში აშენდა 20 ხელოვნურსაფარიანი სასკოლო სპორტული მოედანი.

2007 წელს პროგრამა „გიორგი ნიკოლაძის“ ფარგლებში 20 ქალაქსა და სოფელში დაიწყო ხელოვნურსაფარიანი მოედნების მოწყობა.

თბილისის, გურიის, კახეთის,
მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის,
სამეგრელო-ზემოსვანეთის
I-IV კლასის 95 ათასამდე მოსწავლეს
გადაეცა სასკოლო ფორმა

კლასში მოსწავლეთა რაოდენობა და აკადემიური ფართი



* აკადემიური ფართი ეწოდება სასწავლო პროცესისათვის გამოყენებულ ფართს.

2005-2006 წლებში პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში საქართველოს 665 საჯარო სკოლას გადასცა 7332 თანამედროვე კომპიუტერი. 2006 წლის განმავლობაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგი გაიარა 5868 მასწავლებელმა. ინტერნეტ კავშირით უზრუნველყოფილია 224 საჯარო სკოლა.

მასწავლებლების რაოდენობა სკოლის ტიპისა და რეგიონების მიხედვით და მათი შეფარდება მოსწავლეებთან



	სახელმწიფო	კერძო	სულ
მასწავლებელთა რაოდენობა 2006-2007 წელი	69718	6621	76339
მასწავლებელთა რაოდენობა 2005-2006 წელი	69009	6820	75829

რეგიონი	მოსწავლე/მასწავლებელი	
	2006-2007	2005-2006
თბილისი	10.9	10.9
აფხაზეთი	4.8	3.3
აჭარა	8	7.8
გურია	7	7
იმერეთი	7.7	7.8
კახეთი	7.7	7.9
მცხეთა-მთიანეთი	6.6	6.6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3.8	3.9
სამეგრელო ზემო სვანეთი	7.2	7
სამცხე-ჯავახეთი	6.6	7
ქვემო ქართლი	9	9.4
შიდა ქართლი	8.5	8.4
აფხაზეთი დევნილები	7.8	6.5
სულ	**8.3**	**8.4**

- 2005-2006 წელს მოსწავლე/მასწავლებლის შეფარდება საჯარო სკოლებში 8,7 შეადგენდა, ხოლო კერძო სკოლებში – 4,9. მოსწავლე/მასწავლებლის შეფარდების საერთო მაჩვენებელი 8,4-ის ტოლი იყო.
- 2006-2007 წელს მოსწავლე/მასწავლებლის შეფარდება საჯარო სკოლებში 8,6 შეადგენდა, ხოლო კერძო სკოლებში – 5,5. მოსწავლე/მასწავლებლის შეფარდების საერთო მაჩვენებელი 8,3-ის ტოლი იყო.

მასწავლებლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით 2005-2007 წლებში



	თბილისი	აფხაზეთი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	აფხაზეთი-დევნილები	სულ
2006-2007 წელი	15649	99	7881	2747	12145	6959	2503	1338	7813	4777	8407	5666	355	76339
2005-2006 წელი	15220	81	7892	2762	12275	6849	2453	1382	8070	4496	8052	5803	494	75829

მოსწავლეთა კონტინგენტის მოძრაობა 2005-2007 წლებში



- მომდევნო კლასში გადავიდა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 99,4%.
- კლასში ჩარჩენილია მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 0,6%.
- სწავლა მიატოვა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 0,3%-მა.

2005-2006 წელს კლასში ჩარჩენილ მოსწავლეთა მაჩვენებელი

- ჩარჩენილ მოსწავლეთა შორის 64% ბიჭია და 36% გოგონა.





სკოლიდან გადასული და გადმოსული მოსწავლეები 2005-2006 წელი

რეგიონების მიხედვით



სქესისა და სკოლის ტიპის მიხედვით



გადასულ და გადმოსულ მოსწავლეთა შორის ვაჟები 58%-ს, ხოლო გოგონები 42%-ს შეადგენენ.

მოსწავლეთა მოძრაობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი – 43% თბილისზე მოდის.

ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების მაჩვენებელი







- დაწყებითი სკოლის დასრულების პროოცენტი, ჯამი (%რელევანტური ასაკობრივი ჯგუფი)
- დაწყებითი სკოლის დასრულების პროოცენტი, მამრობითი (%რელევანტური ასაკობრივი ჯგუფი)
- დაწყებითი სკოლის დასრულების პროოცენტი, მდედრობითი (%რელევანტური ასაკობრივი ჯგუფი)

სწავლის მიტოვების მაჩვენებელი (2005-2006 წელი)

კლასების მიხედვით



	I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი	V კლასი	VI კლასი	VII კლასი	VIII კლასი	IX კლასი	X კლასი	XI კლასი
სულ	76	33	30	30	33	41	60	117	656	436	366
ბიჭები	37	16	18	15	25	26	39	62	410	271	168
გოგონები	39	17	12	15	8	15	21	55	246	165	198

სქესისა და სკოლის ტიპის მიხედვით



რეგიონების მიხედვით



- სწავლის მიტოვების მაჩვენებელი – მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 0.3%.
- აქედან ქვემო ქართლზე მოდის 25%, თბილისზე – 20% და კახეთზე – 13,4%.

სამეურვეო საბჭოების არჩევნებში აქტივობა რეგიონების მიხედვით



არჩევნებში მონაწილეობდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები, 750 ათასამდე ადამიანი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 81%-მა.

2007 წლის ივლისში 931 საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოებმა პირველად დირექტორები თავად აირჩიეს.

ნონა მახარაშვილი,
ქ. ბათუმის I საჯარო სკოლის მე-9 კლასელის მშობელი

ჩემთვის მთავარია, ჩემმა შვილმა კარგი განათლება მიიღოს და საკუთარ თანატოლებს არ ჩამორჩეს. მე მესმის, რომ განათლების სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტის პროცესში მშობლებიც აქტიურად უნდა ჩავერთოთ. ამისთვის კი ჩვენ კარგად უნდა ვიყოთ ინფორმირებული, რაშიც ასეთი გამოცემები დაგვეხმარება.

გია მურღულია,
ქ. თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი

ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი ახალი მასალაა საქართველოს განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების სისტემური აღქმისთვის. აქ სრულად არის წარმოდგენილი სანდო ინფორმაცია სისტემაში მომხდარი არსობრივი ცვლილებების, რაოდენობრივი მახასიათებლებისა და შეფასების ინდიკატორების შესახებ. სასურველია, მომავალ გამოცემაში გაიზარდოს კვლევითი, ანალიტიკური და შეფასებითი ნაწილი. სხვა მხრივ, ბუკლეტის გამოქვეყნება არსებულ საჭიროებას კარგად პასუხობს.

დავით ლაგვილავა,
ქ. თბილისის #51 საჯარო სკოლის დირექტორი

აღნიშნული გამოცემა, ჩემი აზრით, დაეხმარება როგორც განათლების სისტემაში მომუშავე ადამიანებს, ისე მთელს საზოგადოებას უკეთ გაერკვნენ და აქტიურად ჩაერთონ საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმაში. გამოცემა სასარგებლოა სასწავლო პროცესებისა და მთლიანად სკოლის, როგორც ორგანიზაციის, განვითარების სტრატეგიის დაგეგმვის პროცესში.

თეიკო ანჯაფარიძე,
საზოგადოებრივი მაუწყებელი, ჟურნალისტი

მნიშვნელოვანია, როდესაც განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე სრულფასოვანი ინფორმაციის მიღება შეგიძლია. ბუკლეტში მოცემული ძირითადი მიმართულებები და სტატისტიკური მონაცემები სრულ სურათს ქმნის და ჩვეულებრივი მკითხველისთვისაც უკვე გასაგებია, რა შეიცვალა, რა იყო ადრე და რას უნდა ველოდოთ მომავალში. რაც მთავარია, ინფორმაცია ყველასათვის გასაგებ ენაზეა გადმოცემული და საინტერესოა, როგორც იმ ადამიანებისთვის, ვისაც ამ სფეროსთან შეხება აქვს, ასევე ფართო საზოგადოებისთვისაც. ასეთი რეგულარული გამოცემები დროთა განმავლობაში ობიექტური რეალობის მემატიანე გახდება.